

საკვანძო საგამოცდო საკითხები ბავშვთა ნევროლოგიაში
დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის

1. ახალშობილთა და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ნევროლოგიური გასინჯვის პრინციპები.
2. ახალშობილთა და 1 წლამდე ასაკის ბავშვთა ანამნეზის შეგროვების, ნევროლოგიური სტატუსის შეფასების და სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების თავისებურებანი.
3. ბავშვის ნერვული სისტემის გამოკვლევის მეთოდები და მათი თავისებურებანი.
4. პარაკლინიკური კვლევის მეთოდები ბავშვთა ნევროლოგიაში (თავის ტვინის ულტრაბგერითი კვლევა, ელექტროენცეფალოგრაფია, ელექტრონეირომიოგრაფია, გამოწვეული პოტენციალების რეგისტრაცია, თავისა და ზურგის ტვინის კომპიუტერულ ტომოგრაფიული კვლევა და ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსული კვლევის მოდალობები, ლუმბალური პუნქციის ჩატარების ჩვენებები და უკუჩვენებები, მისი ჩატარების ტექნიკა, თავ-ზურგტვინის სითხის კვლევა, გენეტიკური კვლევა, ნეირომეტაბოლური კვლევის პრინციპები).
5. თავის ტვინის ნერვები, მამოძრავებელი სისტემა, ნეირომოტორული განვითარების ზოგადი შეფასება.
6. ახალშობილთა რეფლექსების განვითარების დინამიკა და მათი შეფასების მეთოდები.
7. ახალშობილთა ნერვული სისტემის დაავადებების ძირითადი სიმპტომები: დისმორფული ნიშნები, ზოგადი ფიზიკალური შეფასების პრინციპები და მნიშვნელობა.
8. „დუნე ბავშვის“ სინდრომი.
9. ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია, მისი შეფასების და ინტერპრეტაციის თავისებურებანი.
10. ჰიდროცეფალია, ეტიოლოგიის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის პრინციპები, კლინიკური მიმდინარეობის შეფასება.
11. მიკროცეფალია, ეტიოლოგიის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის პრინციპები, კლინიკური მიმდინარეობის შეფასება.
12. ნეონატალური ენცეფალოპათიის დეფინიცია, მისი სახეები და დიფერენცირების გზები.
13. ჰიპოქსიურ-იშემიური ენცეფალოპათია: ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაციის პრინციპები, კლინიკური გამოვლინებანი, მართვა, პროგნოზი.
14. მეტაბოლური ენცეფალოპათია: ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაციის პრინციპები, კლინიკური გამოვლინებანი, მართვა, პროგნოზი.
15. ინტრაკრანიალური ჰემორაგიები, კლასიფიკაცია, დიაგნოსტიკა, მართვა.

16. მოძრაობითი ანალიზატორის შეფასების პრინციპები. ზედა მოტონეირონის დაზიანების ნიშნები.
17. ახალშობილთა თავის ტვინის დაზიანება TORCH ინფექციების დროს, რისკ-ფაქტორები, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებანი, დიაგნოსტიკის და მართვის პრინციპები, პროგნოზი.
18. ბავშვთა ასაკის ნეიროინფექციები, ზოგადი მიმოხილვა, შეფასების სპეციფიკურობა ახალშობილობისა და ჩვილობის პერიოდში.
19. ცერებრული დამბლა, ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, რისკ-ფაქტორები, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური ფორმები, პროგნოზი, მართვის ძირითადი პრინციპები.
20. ბავშვთა ასაკის პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები: მონონეიროპათია, პლექსოპათია, რადიკულოპათიები, გილენ-ბარეს სინდრომი.
21. ნეონატალური გულყრები, ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური გამოვლინებანი.
22. ბავშვთა ასაკის ეპილექსიები და ეპილექსიური სინდრომები, ეპიდემიოლოგია, ეტიოლოგია, პათოგენეზი, კლასიფიკაცია, კლინიკური გამოვლინებანი.
23. ეპილექსიური სტატუსი, მისი მართვის პრინციპები.
24. ეპილექსიების მკურნალობის ფარმაკოლოგიური მეთოდები.
25. ეპილექსიების მართვის არაფარმაკოლოგიური მეთოდები.
26. ნერვ-კუნთოვანი დაავადებები, მათი გავრცელება, კლინიკური გამოვლინება, დიაგნოსტიკა, მკურნალობის მეთოდები.
27. ნეირომეტაბოლური დაავადებები, მათი ამოცნობის და დიაგნოსტიკის მეთოდები, მართვის პრინციპები.
28. ნეიორდეგენერაციული დაავადებები, მათი ამოცნობის და დიაგნოსტიკის მეთოდები, მართვის პრინციპები.